

## ანა აფრიდონიძე\*

### ზღვარი სამოსამართლო ეთიკასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის

სტატიაში განხილულია მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და შეზღუდვის საფუძვლები. კერძოდ, მისი მიმართება სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებთან. აღნიშნული საკითხის განხილვისას ძირითადად, წარმოდგენილი იქნება მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზეზები და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის დასახული ძირითადი ამოცანები, გამოხატვის თავისუფლებით არამართლზომიერი სარგებლობის შედეგები და მოსამართლეთა დისციპლინირების წინაპირობები.

**საკვანძო სიტყვები:** მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკა, მოსამართლეთა დისციპლინირების წინაპირობები, მოსამართლის მიერ გამოხატვის თავისუფლებით არამართლზომიერად სარგებლობის შედეგები.

### შესავალი

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის იმ ერთ-ერთ ძირითად უფლებას, რომლის დაცვაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მისი გაუმართლებელი შეზღუდვა აფერხებს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პრინციპების რეალიზებას და საზოგადოების განვითარებას, რაც ხელისუფლების თვითნებობისთვის ფართო არეალს ქმნის.

უდავოა, რომ ამ უფლების სუბიექტებს წარმოადგენენ მოსამართლეებიც, რომლებსაც თანამდებობრივი მაღალი სტატუსი სასამართლო ავტორიტეტის დაცვასაც ავალდებულებს. შესაბამისად, ნებისმიერ მოსამართლეს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას, უნდა ახსოვდეს პროფესიული ღირსება და ის მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელთა დაცვაც სასამართლო ავტორიტეტის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ემსახურება.<sup>1</sup>

მოსამართლეთა საზოგადოებრივი აქტიურობა, მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება, მათი მედიასთან კომუნიკაცია და საჯარო განცხადებების გაკეთება მკაცრად უნდა ექცეოდეს მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, საინტერესო და ამასთანავე პრობლემურია, როგორ უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

<sup>1</sup> საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, მე-10 მუხლი <<https://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>> [13.10.2022].

სამოსამართლო ეთიკასა და მოსამართლის, როგორც პიროვნების, ძირითად უფლებათა რეალიზებას შორის.

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ნებისმიერ დროს პრიორიტეტულია სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირება, შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის თავიდან აცილება და ამავე დროს სამოსამართლო ქცევის წესების დაცვის დილემა, აქტუალობას დღევანდელ რეალობაშიც არ კარგავს. ამას მოწმობს თავად ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნაში ყურადღების გამახვილება გონივრული ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე.<sup>2</sup>

სტატიის ერთ-ერთ მიზანს მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დადგენა წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, გაირკვეს რა სახის კომუნიკაცია უნდა არსებობდეს საზოგადოებასა და მოსამართლეთა შორის. არსებული სამოსამართლო პრაქტიკის შეჯამებით, გაივლოს ზღვარი სამოსამართლო ეთიკისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის და დასახელდეს მოსამართლეთა დისციპლინირების წინაპირობები.

სტატიაზე მუშაობის პროცესში გაანალიზებული იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებული რეგულაციები. ყურადღება გამახვილდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში გამოკვეთილ საერთო სტანდარტსა და შემთხვევათა მსგავს გადაწყვეტაზე. ასევე დამუშავდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები.

ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავისა და დასკვნისგან, თავდაპირველად განხილული იქნება მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტი, ასევე ბანგალორის პრინციპებისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართება. ამ საკითხებს მოსდევს მსჯელობა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. ამასთან, მთავარი აქცენტი გაკეთებულია სამოსამართლო ეთიკისა და გამოხატვის თავისუფლების გამიჯვნასა და მოსამართლის მიერ გამოხატვის თავისუფლებით არასათანადო სარგებლობის შედეგებზე. დასასრულს კი შემოთავაზებულია ანალიზი მოსამართლეთა დისციპლინირების შესახებ.

---

<sup>2</sup> Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no.3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality 2002, para 8.

# 1. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტი

## 1.1. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო სტანდარტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეათე მუხლი, ქმნის გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიებს, ამავე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ჩანაწერის მიხედვით, „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.“<sup>3</sup> ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებით ცხადია მოსამართლეებიც სარგებლობენ. თუმცა, აქვე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, ამიტომაც კონვენციის მეათე მუხლის მეორე პუნქტი ყველა იმ შემთხვევას განსაზღვრავს, როდესაც უფლების შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება: „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყსრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“<sup>4</sup>

მოსამართლეთა ძირითადი უფლებით სარგებლობის გაუმართლებელი შეზღუდვა დიდი უსამართლობა იქნება მათ მიმართ, ვინც რეალურად სამართლიანობას უნდა ემსახუროს, თუმცა მოსამართლეთა მიერ აზრის დაფიქსირება, სხვებისგან განსხვავდება იმით, რომ მათი მხრიდან პროფესიულ რანგში გაკეთებული განცხადებები და გაჟღერებული დამოკიდებულება ემსახურება კანონისა და სამართლის უზენაესობას. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა უნდა განხორციელდეს გარკვეულ ფარგლებში და ამავე დროს ისე, რომ კონვენციის მეათე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დაცულ სფეროში დაუშვებელი ჩარევა არ მოხდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოსამართლეთა საჩივრების განხილვისას ამკვიდრებს სტანდარტს, რომელიც კონკრეტული შემთხვევისა და საერთო კონტექსტის

<sup>3</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, 04/11/1950.

<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი, 04/11/1950.

გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს შორის ბალანსის დაცვას გულისხმობს.<sup>5</sup>

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი, რათა მან წარმატებით განახორციელოს მართლმსაჯულების ფუნქცია.“<sup>6</sup> ამავე დროს, საქმეში ვილი ლიხტენშტეინის წინააღმდეგ „სასამართლომ აღიარა, რომ სასამართლო სისტემაში მოღვაწე საჯარო თანამდებობის პირებისაგან მოსალოდნელია გამოხატვის თავისუფლების მხრივ თავშეკავების გამოჩენა ყველა შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა.“<sup>7</sup> თუმცა ამ განმარტებებმა არავის არ უნდა აფიქრებინოს ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტადარტის მიხედვით, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება სასამართლოს ნდობის შენარჩუნებას აბსოლუტურად ეწირება. „ავტორიტეტი“, რომელიც მოსამართლეებისთვის ძირითადი უფლებების მიკერძოებული შეზღუდვით ჩამოყალიბდება, არც ერთ შემთხვევაში არ იქნება რეალური. უფრო მართებული იქნება საკითხის აღქმა შემდეგნაირად, „ინდივიდუალურ მოსამართლეს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი მოსაზრებები შეიძლება აღქმულ იქნეს არა მის პირად ნააზრევად, არამედ სასამართლო ხელისუფლების პოზიციად.“<sup>8</sup>

შესაბამისად მოსამართლე, რომლის ქმედება ყოველთვის მარტივად ექცევა საყოველთაო ინტერესში, ცხადია ვერსად გაექცევა პროფესიულ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, თუმცა მას შეუძლია აზრის დაფიქსირება და განცხადების გაკეთება, და, უფრო მეტიც, ზოგჯერ ეს მის ვალდებულებასაც კი წარმოადგენს. მაგალითად, საქმეში „ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ“ „განმცხადებელმა მოსამართლემ გამოხატა საკუთარი მოსაზრებები და კრიტიკა სასამართლოზე გავლენის მქონე კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების, სასამართლო სისტემის ფუნქციონირების, რეფორმის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, შეუცვლელიობისა და მოსამართლეთათვის საპენსიო ასაკის შემცირების საკითხებზე - ჩამოთვლილი თემები, ყოველთვის იქცევა საზოგადოებაში დიდ ყურადღებას. მოსამართლის განცხადებები კი პროფესიული თვალსაზრისით უბრალო კრიტიკას არ გასცილებია. ცალსახად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის პოზიცია და განცხადებები, რომლებიც აშკარად ექცეოდა

<sup>5</sup> *Dijkstra S.*, The Freedom of the Judge to Express his Personal Options and Convenions under the ECHR, *Utrecht Law Review*, 2017, 12.

<sup>6</sup> *ავალიანი თ.*, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან, *კორკელია კ. (რედ.)*, თბ., 2021, 65. იხ. ციტირება *Di Giovanni v. Italy*, [2013] ECHR, 71.

<sup>7</sup> *Wille v. Liechtenstein*, no 28396/95, [1999], ECHR, 64.

<sup>8</sup> Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no.3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality 2002, para 34.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების გარშემო მსჯელობის კონტექსტში, მოითხოვდა მისი გამოხატვის თავისუფლების მაღალ დონეზე დაცვას და ნებისმიერი ჩარევის მკაცრად შეფასებას.<sup>9</sup>

ზემოთ ხსენებულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსამართლის ამ განცხადების გამო თანამდებობიდან გათავისუფლება ჩათვალა „მსუსხავი ეფექტის“ მქონედ<sup>10</sup> და კონვენციის მეათე მუხლის დარღვევად. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულად დაცულია თუ მოსამართლე არ გააჩენს მიკერძოების ეჭვს,<sup>11</sup> თანამდებობის მაღალი სტატუსიდან და თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, თავს შეიკავებს მწვავე კრიტიკაზე პასუხისგან<sup>12</sup> და არ ჩაერთვება საჯარო პოლემიკაში, რომელსაც შესაძლოა, განსხვავებული ინტერპრეტაცია მიეცეს.<sup>13</sup>

ამ განმარტებებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააფიქსირა, რომ „მოსამართლე უფლებამოსილია საჯაროდ ისაუბროს ისეთ თემებზე, რომელებიც პირდაპირ გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფუნდამენტურ საკითხებზე ან გამოირჩევა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით.“<sup>14</sup> მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს საქმის გარემოებებს, მათ შორის მოსამართლის მიერ დაკავებულ პოზიციას, სადავო განცხადების შინაარსსა და კონტექსტს, ასევე მოსამართლის მიმართ გამოყენებული სანქციის ბუნებასა და სიმძიმეს.<sup>15</sup>

## 1.2. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ეროვნული სტანდარტი

თუ შევადარებთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეათე მუხლის პირველ პუნქტს<sup>16</sup> და საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტს<sup>17</sup> შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ძირითადი კანონი კონვენციის მსგავსად, ადგენს როგორც გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიებს, ისე მისი შეზღუდვის საფუძვლებს. შესაბამისად, გასაკვირიც არ არის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ

<sup>9</sup> Baka v. Hungary, no.20261/12, [2016], ECHR, 171.

<sup>10</sup> იქვე, 175.

<sup>11</sup> Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, 2007, para 65.

<sup>12</sup> იქვე, para 136.

<sup>13</sup> Buscemi v. Italy, no 29569/95, [1999] ECHR, 67.

<sup>14</sup> *კახიძე თ., ჯიმშელიშვილი მ., ჩიტაშვილი ივ.*, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბ., 2021.

<sup>15</sup> European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the Freedom of Expression of Judges, 23 June 2015, §83.

<sup>16</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, 04/11/1950.

<sup>17</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

გადაწყვეტილებაში გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში „*ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*“ დადგენილი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, „მე-10 მუხლის დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდებებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.“<sup>18</sup>

საქართველოს კონსტიტუციით „მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.“<sup>19</sup> ამასთანავე, ქვეყანაში მოქმედებს სამოსამართლო ეთიკის წესები, რომლის თანახმადაც „მოსამართლემ აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რათა საზოგადოებამ არ აღიქვას იგი ერთი პოლიტიკური პარტიის ან კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფის მხარდაჭერად, ან არ წარმოშვას საფუძვლიანი წინაპირობა იმ აზრის ჩამოსაყალიბებლად, რომ ეს განცხადება ხელს შეუშლის საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას.“<sup>20</sup>

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს, საქართველოს ორგანულ კანონზე „საერთო სასამართლოების შესახებ“, ვინაიდან სწორედ ამ კანონით რეგულირდება სასამართლო ხელისუფლების შეუფერხებელი განხორციელება. აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სამართალწარმოებისას მინიმუმამდე უნდა იყოს შემცირებული თვითნებობის რისკი, ამიტომაც, დღევანდელი კანონმდებლობით, საქართველოს კონსტიტუციის, ბანგალორის პრინციპებისა და სამოსამართლო ეთიკის წესების შესაბამისად, ორგანული კანონი დისციპლინური სამართალწარმოებისას მოსამართლეთა დაცულობის მაღალ სტანდარტს აწესებს.<sup>21</sup> მოსამართლეთა დისციპლინური გაცდომის სახეებისა და შემადგენლობების შესახებ დეტალურ განხილვას ქვემოთ, შესაბამის თავში იხილავთ.

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/421, 422, 10.11.2009.

<sup>19</sup> საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მეოთხე პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

<sup>20</sup> საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, მე-10 მუხლი.

<sup>21</sup> კანონპროექტი: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224113?>> [26.03.2022].

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ აზრის თავისუფლებას აბსოლუტური პრივილეგიით იცავს.<sup>22</sup> ბუნებრივია, დაცულია მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებაც, თუმცა, ისევე როგორც საერთაშორისოდ აღიარებული მოსამართლეთა ქცევის წესები მოითხოვს, საქართველოში მოსამართლეებიც უნდა ითვალისწინებდნენ თავიანთი თანამდებობის მაღალ სტატუსს და ამავე დროს გააზრებული ჰქონდეთ, რომ ამ უფლებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში საფრთხე შეექმნება არამხოლოდ მათ პერსონალურ პროფესიულ დირსებას, არამედ მთელი სასამართლო სისტემის ავტორიტეტსა და მის მიმართ სანდოობას.<sup>23</sup>

ზემოთ განხილული მსჯელობიდან, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში მოქმედი ნებისმიერი ნორმატიული აქტი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტს, და გადაწყვეტილებათა არგუმენტაციაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული პრეცედენტების მოშველიებაც ხდება, მაგრამ გასაზიარებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ „გამოხატვის თავისუფლების ქართული მოდელი, რომელიც აშშ-ის მოდელის გავლენას განიცდის, დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია,“<sup>24</sup> თუმცა ცხადია არ ეწინააღმდეგება მას.

## 2. ბანგალორის პრინციპებისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართება

ბანგალორის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მიხედვით, „მოსამართლისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქისათვის, გარანტირებულია გამოხატვის, აღმსარებლობის, შეკრებებსა და ასოციაციებში მონაწილეობის თავისუფლება, თუმცა ამ უფლებების რეალიზაციისას მოსამართლე ყოველთვის ზრუნავს მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსის დაცვაზე და თავს იკავებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან შეუთავსებელი ქმედებებისაგან.“<sup>25</sup>

ამავე დროს, ბანგალორის პრინციპებში ცხადად არის დაფიქსირებული პოზიცია იმის შესახებ, რომ „თუ მოსამართლე პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის და საჯარო დისკუსიებში გამოთქვამს თავის მოსაზრებებს სადავო

<sup>22</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლები, სსმ, 19, 15/07/2004.

<sup>23</sup> საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, მე-16 მუხლი.

<sup>24</sup> იხ. ციტირება *ავალიანი თ.*, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან, თბ., 2021, 62.

<sup>25</sup> სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, 25-26 ნოემბერი 2002, §4.6,

საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეობს საჯარო კამათში საზოგადო მოღვაწეებთან ან საჯაროდ აკრიტიკებს მთავრობას, საზოგადოების თვალში ის ეჭვქვეშ აყენებს თავის უნარს, მიუკერძოებლად განახორციელოს მოსამართლის მოვალეობები.”<sup>26</sup>

გამოდის, რომ სამოსამართლო ქცევის წესები მოსამართლის საჯარო და პოლიტიკურ აქტივობას უფრო მკაცრ ჩარჩოებში აქცევს, ვიდრე მისი პოზიციის დაფიქსირებას სასამართლო ორგანოებთან დაკავშირებით, ვინაიდან „არის რიგი გარემოებები, როცა მოსამართლეს შეუძლია, გულახდილად გამოთქვას თავისი მოსაზრებები პოლიტიკური თვალსაზრისით წინააღმდეგობრივ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ: როცა ეს საკითხები უშუალოდ ეხება სასამართლოების ფუნქციონირებას, სასამართლოს დამოუკიდებლობას (მათ შორის, მოსამართლის ხელფასსა და შეღავათებს), მართლმსაჯულების აღსრულებას თუ მოსამართლეების პატიოსნებას.”<sup>27</sup>

კიდევ უფრო საინტერესოა მოსამართლეთა შეზღუდვა კრიტიკასთან და საპასუხო აზრთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების საუკეთესო გზა ისევ გამოხატვაა,<sup>28</sup> თუმცა რამდენად შეუძლიათ მოსამართლეებს სხვათა გამოხატვას ასევე გამოხატვით უპასუხონ, სადავოა. ბუნებრივია, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს შეუძლიათ, დააფიქსირონ აზრი მოსამართლეთა ნაკლოვანების ან სასამართლო ორგანოს ხარვეზიანი ფუნქციონირების შესახებ. არ არის გამორიცხული, კრიტიკა საკმაოდ მწვავეც იყოს, შესაძლოა, გაჟღერდეს ბრალდებები ცალკეული მოსამართლეების ან მთელი ორგანოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხიც სასამართლოს ეხება, მოსამართლეებს კრიტიკაზე პასუხის უფლება შეზღუდული აქვთ, რადგან ბანგალორის პრინციპების მიხედვით „სჯობს ნებისმიერი სკანდალური თავდასხმის იგნორირება, ვიდრე საქმის გაღრმავება და სასამართლოსადმი უპატივცემულობის თაობაზე წარმოების წამოწყება.”<sup>29</sup>

შესაძლოა გააჩნდეს ეჭვი, რომ ამგვარი საზღვრების დადგენა მოსამართლის საზოგადოებისგან დისტანცირებას ემსახურება, თუმცა ვენეციის კომისის შეხედულების თანახმად, სასამართლო ავტორიტეტის შენარჩუნების მიზეზით საზოგადოებისგან მოსამართლეთა სრული იზოლირება ეფექტურ გზად ვერ მიიჩნევა. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ ეს მთელი ორგანოს მუშაობისთვის ხელისშემშლელი აღმოჩნდეს, რადგან „სასამართლო სისტემა სათანადო დონეზე მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, თუ მოსამართლეებს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი

<sup>26</sup> Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, 2007, para 136.

<sup>27</sup> Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, 2007, para 138.

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/6/561,568, 30.09.2016, §50-51.

<sup>29</sup> Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, 2007, para 137.



აქვთ.“<sup>30</sup> დღევანდელ რეალობაში ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია, ვინაიდან მედია თუ სხვა სოციალური პლატფორმები დღეს ინფორმაციის მიღებისა და სიახლეების გაცნობის სწრაფი მარტივი და გავრცელებული საშუალებაა, მოსამართლეთა დისტანცირება კი ამ წყაროებზე წვდომის არქონას ნიშნავს. ამ დროს კი მოსამართლე თემიდას მსგავსად „ყოველგვარი ცდუნებისგან თავისუფალი, განყენებული სათნოება როდია, მას საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნისა და ჩვეულებრივი ადამიანების გულახდილი და შეუფარავი აზრის მოსმენის უფლება უნდა მიეცეს.“<sup>31</sup> რეალურად, ხომ სასამართლო სისტემის შექმნა, სწორედ ამ საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვამ განაპირობა, ამიტომაც გაუმართლებელი იქნება მოსამართლები ამგვარად შეიზღუდონ.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც საქმე ეხება გამოხატვის თავისუფლების სარგებლობის ფარგლებს ბანგალორის პრინციპების მიხედვით, გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: „პირველი, არის თუ არა მოსამართლე ჩართული საქმიანობაში, რომელსაც ობიექტურად შეუძლია, ჩრდილი მიაყენოს მის მიუკერძოებლობას; მეორე, აუცილებელია იმის გათვალისწინება, ხომ არ იქცევა ის ამა თუ იმ საქმიანობაში მონაწილეობის გამო პოლიტიკური თავდასხმების ობიექტად, ან ხომ არ არის ეს მონაწილეობა მოსამართლის მაღალ სტატუსთან შეუთავსებელი.“<sup>32</sup>

### **3. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლო ავტორიტეტის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად**

მნიშვნელოვანი რამ, რაც მოსამართლემ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას უნდა გაითვალისწინოს არის სასამართლოს ავტორიტეტის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება. შესაბამისად, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ძირითადი საფუძველიც სასამართლო ავტორიტეტის დაცვის ლეგიტიმური მიზანი შეიძლება გახდეს.

საყურადღებია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - „*მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ*“ „სასამართლო ავტორიტეტი“ ფართოდ განმარტა, რომელშიც საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი პატივისცემის მაღალი ხარისხი, ნდობა და რწმენა მოიაზრა, რომ სასამართლოს შესწევს ამ ფუნქციის შესრულების უნარი.<sup>33</sup>

<sup>30</sup> European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) Report on the Freedom of Expression of Judges Adopted by the Venice Commission, at its 103<sup>rd</sup> Plenary Session (venice, 19-20 june 2015), § 8.

<sup>31</sup> Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, 2007, para 137.

<sup>32</sup> Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, 2007, para 134.

<sup>33</sup> *Morice v. France*, [2015] ECHR, 131.

ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლე არ უნდა აჩენდეს მიკერძოების ეჭვს. გამოდის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სასამართლო ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად ასახელებს, ისევე როგორც, სასამართლო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. „განმარტებების მიხედვით, დგინდება რომ უფრო მრავლისმომცველ ცნებად მაინც სასამართლო ავტორიტეტი რჩება, რომლის განმტკიცებაც სწორედ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გზით არის შესაძლებელი.“<sup>34</sup>

მოსამართლეთა მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კრიტიკის გაცილებით ფართო საზღვრებს ადგენს და განმარტავს „თუ რაიმე ფორმით გამოხატვის ერთადერთი მიზანი სასამართლოს, ან ამ სასამართლოს ან ამ მოსამართლის შეურაცხყოფაა სათანადო სანქცია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ იქნება დარღვევა.“<sup>35</sup> გამოდის, რომ საზოგადოების მხრიდან სასამართლოს საქმიანობისადმი მაღალი საჯარო ინტერესის გამო, რიგით მოქალაქეებს არ შეიძლება შეეზღუდოთ კრიტიკის უფლება, ხოლო სასამართლო მოკლებულია კრიტიკაზე პასუხის გაცემას და, უფრო მეტიც, ბანგალორის პრინციპის მიხედვით, მოსამართლის მხრიდან მიზანშეუწონელია თუნდაც მწვავე კრიტიკაზე პასუხის გაცემა.

ცხადია, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლებით მოსარგებლე სუბიექტებს შორის მოსამართლეთა თმენის ვალდებულება გაორმაგებულია, როდესაც სასამართლო არჩევანის წინაშე დადგა, საქმეში „ბარფოლდი დანიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, არსებობდა დიდი საჯარო ინტერესი და საკითხი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი იყო, თუმცა რადგან მოსამართლეების მიმართ ბრალდება იყო უსაფუძვლო, მომჩივანის მიერ გამოქვეყნებული სტატია არ მიიჩნეის საჯარო დისკუსიაში წვლილის შეტანად და სასამართლო ავტორიტეტის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად მიიჩნეის.<sup>36</sup>

ამის გათვალისწინებით, *სკალკას საქმეში* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეურაცხყოფასა და კრიტიკას შორის ზღვარი გაავლო, ხოლო დაუსაბუთებელი და დამაზიანებელი განცხადებები გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში არ მოაქცია.<sup>37</sup> იგივე სტანდარტი დადგინდა საქმეში „ამ დროს კი მოსამართლე თემიდას მსგავსად „ყოველგვარი ცდუნებისგან თავისუფალი, განყენებული სათნოება როდია, მას

<sup>34</sup> *წულუკიძე გ., კაკაბაძე რ., ბერეკაშვილი ვ.*, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2008, 38.

<sup>35</sup> *Skalka v. Poland*, [2003] ECHR, 131.

<sup>36</sup> *Barfold v Denmark*, [1989] ECHR 34-35.

<sup>37</sup> *ავალიანი თ.*, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან, თბ., 2021, 66-67 იხ. ციტირება *Skalka v. Poland*, [2003] ECHR, 131.

საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნისა და ჩვეულებრივი ადამიანების გულახდილი და შეუფარავი“; სადაც „სასამართლომ განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიმართ გამოთქმული შენიშვნები იყო მკაცრად კრიტიკული, ამგვარი შეფასებები დაშვებული უნდა იყოს, როცა ამის საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები არსებობს. კონსტრუქციული კრიტიკა არათუ საზიანო, არამედ სასარგებლოა სასამართლოს სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.”<sup>38</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კრიტიკული გამოხატვის მაღალ სტანდარტს ადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ მრავალფეროვანი არ არის, მიღებული ორი გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან შესაბამისობა დგინდება.

2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „მოსამართლის სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზრუნვა არ გულისხმობს მოსამართლის პროფესიული საქმიანობის ან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკის აკრძალვას.”<sup>39</sup> ამავე დროს პირველ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფოში ისეთი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა და დაცვა, როგორცაა სასამართლოს ავტორიტეტი და ქმედითი მართლმსაჯულება, არ უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვის ხარჯზე.“<sup>40</sup>

შესაბამისად, როგორც ეროვნული ისე ევროპული სტანდარტით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია არა დაუსაბუთებელი, არამედ ლეგიტიმური საფუძვლით, რომელიც რეალურად სასამართლო ავტორიტეტის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ემსახურება.

<sup>38</sup> სასამართლოს ავტორიტეტს დაცვის მიზნით, გამოხატის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა დაუშვებელია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, <<https://transparency.ge/ge/blog/sasamartlos-avtoritetis-datsvis-miznit-gamokhatvis-tavisuplebis-dausabutebeli-shezghudva-daushvebelia>> [16.11.2015]

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/482,483,487,502, 18.04.2011, 66.

<sup>40</sup> ავალიანი თ., გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან, *კორკელია კ. (რედ.)*, თბ., 2021, 66-67. იხ. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/393,397, 15.12.2006.

#### 4. გადაცდომა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას და მოსამართლეთა დისციპლინირების საკითხი

ზემოთ განხილული მსჯელობიდან, ცალსახაა, რომ სამოსამართლო ეტიკის წესები მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებას, პროფესიული ვალდებულებიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში ზღუდავს. სწორედ ამიტომ, თითოეული მოსამართლე იცავს ეტიკის მოთხოვნებს და მათი დარღვევა შესაძლოა, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზეზი გახდეს.

მნიშვნელოვანია, მოხდეს თავად დისციპლინირების სანქციების დაყოფა. ძირითადად შესაძლოა, გამოიყოს ვერბალური, ფინანსური და კარიერასთან დაკავშირებული სანქციები.<sup>41</sup> ყველა მოწინავე ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს ისეთ სანქციებს, რომლითაც ხდება მოსამართლის ქმედების ნეგატიური შეფასება სხვა დამატებითი სამართლებრივი შედეგების გარეშე. მაგალითად, შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, გაფრთხილება.

რაც შეეხება ფინანსურ სანქციებს, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, შეიძლება იყოს ჯარიმა (გერმანია, ესპანეთი) ან ხელფასიდან დაქვითვა (ბოსნია, ბულგარეთი, მაკედონია, მონტენეგრო, კოსოვო, რუმინეთი, სერბეთი, ხორვატია). ესტონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ორივე ტიპის სანქციას: როგორც ჯარიმას, ასევე ხელფასიდან დაქვითვას.<sup>42</sup>

კარიერასთან დაკავშირებულ სანქციებში, მოიაზრება სანქციები, რომლებიც მოსამართლის უფლებამოსილებაზე ან მის კარიერაზე გავლენას ახდენენ, ასეთია მაგალითად, სხვა სასამართლოში გადაყვანა (ბოსნია, ალბანეთი, გერმანია, ესპანეთი), რანგის დაქვეითება (ბულგარეთი), სამუშაო სტაჟის შემცირება (იტალია), დაწინაურების შეზღუდვა გარკვეული ვადით (სერბეთი), თავმჯდომარის ან, ზოგადად, ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლება (მაგ., იტალია, ბოსნია), უფლებამოსილების შეჩერება (ესპანეთი, ნიდერლანდები), იძულებით პენსიაში გასვლა (პორტუგალია) დაბოლოს – სამსახურიდან დათხოვნა.<sup>43</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტის მიხედვით, დაუშვებელია, მოსამართლის მიერ ყველა გადაცდომა კონკრეტული გარემოებების გამოკვლევის გარეშე, გახდეს დისციპლინირების მიზეზი. საქმეში „ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება იყო უსაფუძვლო და მოსამართლისთვის მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტას ჰქონდა „მსუსხავი ეფექტი“ ანუ უარყოფითი ზეგავლენა.<sup>44</sup> აქიდან გამომდინარე, როცა მოსამართლის მიმართ ადგილი აქვს სანქციათა შეუსაბამო გამოყენებას,

<sup>41</sup> დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა საქართველოში და საზღვარგარეთ, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, თბ., 2021, 19.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> Baka v. Hungary, no.20261/12, [2016], ECHR, 173.

ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მკაფიოდ გამოხატავს, რომ მოსამართლეების მიმართ მხოლოდ შეზღუდვები არ არსებობს, ევროკონვენციით დადგენილია სამართლიანი სასამართლოს გარანტია. შესაბამისად, აღკვეთილი იქნება ყველა მცდელობა, რომელიც მოსამართლეთა წინააღმდეგ უსაფუძვლოდ იქნება განხორციელებული.<sup>45</sup>

## 5. გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

„დისციპლინური პროცესი მოიცავს ყველა ეტაპს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებიდან დისციპლინური გადაწყვეტილების აღსრულებამდე (დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას, დისციპლინური საქმის მოკვლევას, არსებით განხილვას, გასაჩივრებასა და გადაწყვეტილების აღსრულებას).“<sup>46</sup>

საქართველოში და უმეტეს ქვეყნებშიც, როგორც მოსამართლეთა დანიშვნის, ისე მისი გათავისუფლების საკითხებს წარმართავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შესაბამისად, მას დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში საკუთარი ფუნქცია გააჩნია. ამ პროცესის წარმართვა უმეტესად ხორციელდება ორ, წინასწარი მოკვლევისა და არსებითი განხილვის ეტაპად, ასევე შესაძლოა რომ სტადიები მკვეთრად გამიჯნული არ იყოს, ან პირიქით სხვადასხვა თანამდებობის პირებს ეკისრებოდეთ მათი განხორციელება. სახელმწიფოებს თავად შეუძლიათ ამ საკითხის განსაზღვრა, ქვეყანაში არსებული სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებიდან გამომდინარე.<sup>47</sup>

სასამართლოს განხილვის ეტაპზე უკვე შეუძლია იმსჯელოს თითოეულ შემთხვევაში როდის არის დისციპლინირება მოსამართლის ქცევასთან შესაბამისი სანქცია. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არსებობს ჩამონათვალი, რომლითაც მოსამართლეთა მიერ ეთიკის წესების დარღვევისა და გადაცდომის ზუსტი ფარგლებია დადგენილი <sup>48</sup>. ეს აუცილებელია, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღებისას თუ სასამართლო დადგენილი ნორმის მიხედვით იხელმძღვანელებს, საზოგადოების ეჭვი მოსამართლეთა მიმართ ღმობიერების შესახებ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. აქიდან გამომდინარე, ობიექტურად მიღებული თითოეული გადაწყვეტილება სასიკეთოდ აისახება სანდოობაზე, დამოუკიდებლობასა და სასამართლო ავტორიტეტის ზრდაზე.

<sup>45</sup> დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა საქართველოში და საზღვარგარეთ, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, თბ., 2021, 12. იხ. აგრეთვე, Volkov v. Ukraine no.21722/11, [2013], ECHR.

<sup>46</sup> მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, თბ., 2014, 17.

<sup>47</sup> იქვე, 19.

<sup>48</sup> დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა საქართველოში და საზღვარგარეთ, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, თბ., 2021, 11.

ამ მხრივ მისასაღმებელია „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2019 წელს შესული ცვლილება, რომლითაც ცხადად, დეტალურად ჩამოყალიბდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.<sup>49</sup> რაღა თქმა უნდა, ორგანული კანონი საქართველოს კონსტიტუციასთან და სამოსამართლო ეთიკის წესების შესაბამისად ადგენს მოსამართლეთა დისციპლინირების შემთხვევებს. დისციპლინირების ძირითადი საფუძვლები ყოველთვის გამომდინარეობს თავად სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობიდან, თუმცა დეტალური ჩამონათვალის დადგენასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის წარმოადგენს სასამართლოს ანგარიშვალდებულების ერთ-ერთ საჭირო ფორმას. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ განხორციელებული ცვლილებით, დისციპლინურ გადაცდომად მხოლოდ მოსამართლის განზრახი ან გაუფთხილებელი ქმედება მიიჩნევა. იმ ფაქტს, რომ საქართველო იზიარებს ევროპულ სტანდარტს „მსუსხავი ეფექტის“ უგულებელყოფის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ამგვარ განმარტებაზე თანხმობა კიდევ ერთხელ ადასტურებს: „დისციპლინურ გადაცდომას არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“<sup>50</sup> გადაცდომათა სახეები კი შემდეგ კატეგორიებად დაიყო: „1) ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს; 2) ქმედებები, რომლებიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს; 3) ქმედებები, რომლებიც არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს; 4) ქმედებები, რომლებიც არღვევს წესიერების პრინციპს; 5) ქმედებები, რომლებიც არღვევს თანასწორობის პრინციპს; 6) ქმედებები, რომლებიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს; 7) სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის სტატუსს.“<sup>51</sup>

ამგვარი ხედვა, იძლევა შემდეგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას: მოსამართლეთა ყოველგვარი გადაცდომა აპრიორი არ ნიშნავს მის დისციპლინირებას, თუმცა ორგანული კანონი უზრუნველყოფს რომ რამდენადაც თითოეული მოსამართლე დისციპლინური სამართალწარმოებისას მაქსიმალურად დაცულია მაღალი სტანდარტით, ასეთივე დოზით, პირნათლად უნდა შესრულდეს ის ვალდებულებები და სწორად რეალიზდეს პრინციპები, რომლებიც მათი მხრიდან კანონის აღსრულებას, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას ემსახურება. ცხადია, სასამართლო საკითხის განხილვისას არ უნდა დაირღვეს მოსამართლის

<sup>49</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 75<sup>1</sup>, 25/12/2019.

<sup>50</sup> განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 9, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224113?>> [26.03.2022].

<sup>51</sup> იქვე.

უფლებები, საჭიროა ბალანსის დაცვა კონფიდენციალობასა და გამჭვირვალობას შორის.<sup>52</sup>

## დასკვნა

სამოსამართლო ეთიკასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის „ოქროს შუალედის“ პოვნა ნამდვილად არ არის მარტივი და შეიძლება ითქვას, რომ გამოწვევაა როგორც სასამართლო ორგანოებისთვის, ისე საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვის. ცნობილია, რომ სამართალი არ არის ზუსტი მეცნიერება, და მას აქვს არა ერთი, არამედ რამდენიმე სწორი პასუხი და საკითხი გადაუწყვეტელი არასდროს რჩება. შესაბამისად, როცა საქმე სამოსამართლო ეთიკასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის არჩევანის გაკეთების დილემას ეხება, საკითხი დეტალური შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს და არ არის გამორიცხული მსგავს შემთხვევათა შესახებ ერთიანი სტანდარტის დადგენაც.

სტატიაში განხილული სასამართლო გადაწყვეტილებები მოწმობს იმას, რომ გარკვეულწილად დადგენილია ფარგლები, რომელთა მეშვეობით დაცულია ბალანსი სამოსამართლო ეთიკასა და მოსამართლის, როგორც პიროვნების, ძირითად უფლებათა რეალიზებას შორის. ვერცერთი პროფესია ვერ წაართმევს ინდივიდს საკუთარ ძირითად უფლებას, შესაბამისად, მოსამართლეებსაც უნარჩუნდებათ ისინი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მათ უფლებების გარდა, ვალდებულებების სახით სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის დაცვაც ემატებათ.

საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინირების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ის სამართალწარმოების სისტემა და საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც დღეს არსებობს, საერთაშორისო სტანდარტებს არ ეწინააღმდეგება. პრობლემურ და საკვანძო საკითხთა გადაწყვეტის დროს საქართველო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და მის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ დონეზე მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების თვითნებური ან საკანონმდებლო შეზღუდვა დაუშვებელია. ამასთანავე, ყურადღება ყოველთვის მახვილდება სასამართლო ავტორიტეტის, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სანდოობის დაცვაზე და მათი უზრუნველყოფა სასამართლოსთვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. ამიტომაც მოსამართლეებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა ავტომატურად არ გულისხმობს დისციპლინირებას, ამავე დროს, სწორად უნდა ესმოდეთ მართლმსაჯულების მიზანი და ისიც, რომ მათ ინდივიდუალური ქმედებებს, ქცევებსა და

<sup>52</sup> დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა საქართველოში და საზღვარგარეთ, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, თბ., 2021, 4.

გადაწყვეტილებებს სასამართლო სისტემაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია.

სამოსამართლო ეთიკასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვას, პირველ რიგში, ხარისხიანი მართლმსაჯულება სჭირდება, რომელიც თავისუფალია ხელისუფლების ზეგავლენისგან, ხოლო მოსამართლეთა თვითნებობის რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა ყოველთვის იყო სასამართლო ორგანოებისთვის მნიშვნელოვანი, თუმცა ეს ლეგიტიმური მიზანი არ უნდა გახდეს ბერკეტი, რომელიც მუდმივად შეზღუდავს მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებას. ცალსახაა, რომ მოსამართლეთა დისციპლინირებას არ უნდა ჰქონდეს „მსუსხავი ეფექტი.“ არჩევანი სამოსამართლო ეთიკისა და ადამიანის უფლებებს შორის ერთზე ან მეორეზე არ კეთდება, თითოეულს საკითხის გადაწყვეტისას თავისი როლი და მნიშვნელობა გააჩნია.

საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით, საკმაოდ მარტივდება ერთი შეხედვით პრობლემურ საქმეთა სამართლიანად და მიუკერძოებლად გადაწყვეტა. აღნიშნული პრაქტიკა და რეკომენდაციები შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს, თუმცა ხარისხიანი მართლმსაჯულებისკენ სწრაფვის პროცესი არასდროს უნდა შეჩერდეს, ასეთ დროს კი სამოსამართლო ეთიკასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის პოვნა გაცილებით გონივრულად მოხდება.

## ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, სსმ, 19, 15/07/2004.
3. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 25/12/2019.
4. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები.
5. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, 2002.
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04/11/1950.
7. *ავალიანი თ.*, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან, *კორკელია კ. (რედ.)*, თბ., 2021, 62, 65-67.
8. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა საქართველოში და საზღვარგარეთ, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, თბ., 2021, 4, 12.
9. *კახიძე თ., ჯიმშელიშვილი მ., ჩიტაშვილი ივ.*, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2021.
10. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, თბ., 2014, 17, 19.



11. *წულუკიძე გ., კაკაბაძე რ., ბერეკაშვილი ვ.*, გამობატვის თავისუფლება და სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2008, 38.
12. სასამართლოს ავტორიტეტს დაცვის მიზნით, გამობატვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა დაუშვებელია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, [16.11.2015].
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/6/561,568, 30/09/2016.
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/482,483,487,502, 18/04/2011.
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/421, 422, 10/11/2009.
16. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the Freedom of Expression of Judges, 23 June 2015.
17. Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, 2007.
18. Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no.3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality 2002.
19. *Dijkstra S.*, The Freedom of the Judge to Express his Personal Options and Convenions under the ECHR, Utrecht Law Review, 2017.
20. *Baka v. Hungary*, no.20261/12, [2016] ECHR.
21. *Di Giovanni v. Italy*, [2013] ECHR.
22. *Skalka v. Poland*, [2003] ECHR.
23. *Wille v. Liechtenstein*, no 28396/95, [1999] ECHR.
24. *Buscemi v. Italy*, no 29569/95, [1999] ECHR.
25. *Barfold v Denmark*, [1989] ECHR.

**Ana Apridonidze\***

### **The Boundary Between Judicial Ethics and Freedom of Expression**

*The article discusses the scope of judges' freedom of expression and the grounds for restriction. In particular, it appeals to the Bangalore principles of judicial conduct. This issue will focus on international and national standards, and related to the freedom of expression of judges and the case law of European Court of Human Rights. Also, the article provides an analysis of reasons for the restriction of freedom of expression, the underlying principles to ensure independence and impartiality of the judiciary, the consequences of the illegal use of freedom of expression, and the preconditions of sorting out judges.*

**Keywords:** *Scope of freedom of expression of judges, Bangalore Principles of Judicial Conduct, Judicial practice of European Court of Human Rights, The preconditions of sort out of judges, Consequences of illegal use of freedom of expression by a judge.*

---

\* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, BA Student.